



სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ჩამოყალიბება

შეხვედრის ოქმი

2015 წლის 1 ივნისს ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის შეხვედრა, სადაც ჩამოყალიბდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების 412 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა. შეხვედრას ესწრებოდა 78 წევრი ორგანიზაცია.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა და ისაუბრა ასოცირების ხელშეკრულების, სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე, ასევე საქართველოში ევროპისა და ევროპული სტანდარტების შექმნის აუცილებლობაზე. კრებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ, არჩილ ყარაულაშვილმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბორის იაროშევიჩმა და საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილემ, კახა გოგოლაშვილმა.

მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლზე. „მსურს მადლობა გადაგიხადოთ იმ ინტერესისთვის, რაც ევროინტეგრაციის მიმართ გააჩნიათ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი პროფესიონალიზმი და საკითხების სიღრმისეული ცოდნა. ვფიქრობ, ეს არის სიმდიდრე, რომელიც ჩვენ, მთავრობამ უნდა გამოვიყენოთ. როგორც მოგეხსენებათ, ასოცირების ხელშეკრულება დაკავშირებულია ძირეული რეფორმების გატარებასთან. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს გააძლიეროს თავისი შესაძლებლობები, რათა წარმატებით შეძლოს აღნიშნული შეთანხმების განხორციელება. პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით დავიწყეთ მუშაობა სექტორული მიმართულებით გრძელვადიან სტრატეგიაზე. ეს არის ხედვა, რომელსაც დაეფუძნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმები. არსებობს ჩარჩო დოკუმენტი და მოგეცემათ საშუალება ჩაერთოთ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში. საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ასოცირების ხელშეკრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართო სამოქალაქო სექტორი. მივიღეთ მნიშვნელოვანი შენიშვნები, რომელთა ნაწილიც გათვალისწინებულ იქნა მთავრობის მიერ. შენიშვნები, რომელიც ეხებოდა

პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებას გათვალისწინებულ იქნა სამოქმედო გეგმაში. გვსურს მომავალშიც აქტიურად გავაგრძელოთ თანამშრომლობა. ახალდაფუძნებული პლატფორმა და საქართველოს ეროვნული პლატფორმა იქნება ჩვენი თანამშრომლობის მთავარი ინსტრუმენტი“- განაცხადა არჩილ ყარაულაშვილმა.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ პოზიტიურად შეაფასა რიგის სამიტის შედეგები. ბორის იაროშევიჩის თქმით, „საზოგადოებაში იყო დიდი მოლოდინები ვიზის ლიბერალიზაციის მიმართულებით, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსებობს გარკვეული დღის წესრიგი და ტექნიკურად შეუძლებელი იყო ვიზის ლიბერალიზაციის მიღება. როგორც ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, საქართველო ძალიან მალე მიიღებს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას. ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ თქვენთან ურთიერთობას“.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილემ, კახა გოგოლაშვილმა ისაუბრა რიგის სამიტის შედეგებზე და შეაფასა მიმდინარე მოვლენები. მან აღნიშნა, რომ გაჩნდა ახალი მიდგომები საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით, უსაფრთხოების გარემოს ცვლილებამ გამოიწვია ცვლილებები აღმოსავლეთ პარტნიორობის შიგნით. მან ასევე ისაუბრა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვაზე და რეგიონში მიმდინარე გამოწვევების შესახებ.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის სტრუქტურა და არჩევის წესი. მსჯელობის შედეგად პლატფორმის წევრი ორგანიზაციები შეთანხმდნენ სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის 18 წევრიან შემადგენლობაზე: საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელი, I სამუშაო ჯგუფი - 4 წევრი, II სამუშაო ჯგუფი - 4 წევრი, III სამუშაო ჯგუფი - 2 წევრი, IV სამუშაო ჯგუფი - 2 წევრი. დარჩენილი 3 წარმომადგენელი კონკურსის წესით შეირჩევა სპეციალური კომისიის მიერ პლატფორმის არაწევრი ორგანიზაციებიდან. მონაწილეები ერთხმად შეთანხმდნენ კომისიის შემდეგ შემადგენლობაზე: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“.

შეხვედრის შემდეგ ნაწილში კენჭისყრა გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრების არჩევის წესზე. წარმოდგენილი იყო ორი წინადადება: 1. ორგანიზაციების არჩევა წარმომადგენლების დასახელების გარეშე (17 ხმა) 2. ორგანიზაციების წარმომადგენლების არჩევა შემდგომში მათი ჩანაცვლების უფლებით (34 ხმა). კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა წევრების არჩევის მეორე წესი.

დამსწრეებმა კენჭი უყარეს ასევე კანდიდატთა დასახელების 2 შემოთავაზებულ წინადადებას: 1. კანდიდატის დასახელება შეუძლია მხოლოდ სამუშაო ჯგუფს (9 ხმა) 2.

კანდიდატის დასახელება შეუძლია ყველა სამუშაო ჯგუფს (33 ხმა). კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა მეორე წინადადება.

შეხვედრის ბოლო ნაწილში გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის არჩევნები. დამსწრეებმა ერთხმად დაამტკიცეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი, მანანა ბიწაძე - მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი, მარი ბენდელიანი - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, მაკა ჯახუა - ასოციაცია "მწვანე ტალღა", თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 65 ორგანიზაციამ. კენჭისყრის შედეგად ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი სამუშაო ჯგუფი

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - ანა ნაცვლიშვილი 45 ხმა
2. მრავალეროვანი საქართველო - არნოლდ სტეპანიანი 26 ხმა
3. ადამიანის უფლებათა ცენტრი - თამარ ავალიანი 20 ხმა
4. კონსტიტუციის 42-ე მუხლი - ნინო ელბაქიძე 23 ხმა
5. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - ეკა გიგაური 30 ხმა
6. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი- ქეთი ჩაჩავა 30 ხმა
7. სამართლიანი არჩევნები - ნინო ლომჯარია 13 ხმა
8. ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი - გიორგი კლდიაშვილი 18 ხმა
9. ადამიანის ჰუმანიტარული განვითარების ცენტრი - ირაკლი კლდიაშვილი 17 ხმა
10. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია - ნათია კუპრაშვილი 28 ხმა

მეორე სამუშაო ჯგუფი

1. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ - ნინო ელიზბარაშვილი 33 ხმა
2. საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების ცენტრი - დავით ცისკარიძე 10 ხმა
3. OXFAM - ქეთი გეთიაშვილი 26 ხმა
4. ასოციაცია „ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“ - ოლეგ შატბერაშვილი 32 ხმა
5. ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი - ნინო ევგენიძე 19 ხმა
6. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - კახა გოგოლაშვილი 44 ხმა
7. სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი - ლია თოდუა 25 ხმა
8. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია - ნანა ფიროსმანაშვილი 10 ხმა

9. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ - ნუგზარ კოხრეიძე 15 ხმა
10. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ - მაკა ჯორჯაძე 27 ხმა

მესამე სამუშაო ჯგუფი

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - ნინო ჩხობაძე 30 ხმა
2. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - მურმან მარგველაშვილი 24 ხმა
3. საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი - თამაზ ვაშაკიძე 6 ხმა
4. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ - მანანა ქოჩლაძე 34 ხმა
5. ენერგოეფექტურობის ფონდი - ვახტანგ ზარქუა 14 ხმა
6. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - ნანა ჯანაშია 12 ხმა

მეოთხე სამუშაო ჯგუფი - 2 წევრი

1. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ნატო ბაჩიაშვილი 24 ხმა
2. ქალები საუნივერსიტეტო განათლებით - თამარ კიკნაძე 18 ხმა
3. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო - გიორგი ჭილაძე 14 ხმა
4. სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი - ალექსანდრა კალატოზიშვილი 31 ხმა
5. საერთაშორისო ფონდი „ლეა“ - მარინე სოლომონიშვილი 17 ხმა
6. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის - გუნა ბიბილეიშვილი 0 ხმა

კენჭისყრის შედეგად სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრებად არჩეულ იქნენ:

I ჯგუფი - ანა ნაცვლიშვილი, ეკა გიგაური, ქეთი ჩაჩავა, ნათია კუპრაშვილი

II ჯგუფი - კახა გოგოლაშვილი, ნინო ელიზბარაშვილი, ოლეგ შატბერაშვილი, მაკა ჯორჯაძე

III ჯგუფი - მანანა ქოჩლაძე, ნინო ჩხობაძე

IV ჯგუფი - ალექსანდრა კალატოზიშვილი, ნატო ბაჩიაშვილი